


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდ-  
უძი სიფყვას, ცყუილებით და ჭბებით ბუტ-  
თის გაფანა ყველა უჯანდისბზაჭ უსამაგლეხია.

სუთშაბათი, 21 სექტემბერი. 2017 წ. №193 (8330), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## გარდაბანში „კაცის კაცს“ ნარკობენენ?..



არადანი - ში,  
არჩივანი -  
შანი!

4

**ნირო ბურჯანაძე: სააკაშვილი  
აუშ-ის ცენტრალური  
სადაზვერვო სამმართველოს  
დაპალებით  
რუსეთში 2018 წლის  
მსოფლიო საფეხბურთო  
ჩემპიონატის ჩაშლას ცდილობს**

5



**„კომფორტი  
მანქანებს  
კი არ უნდა  
უპუქმნათ,  
არამედ -  
პლაქმანებს“**

3

ფოლკლორისა  
და კლასიკის  
ბერძენსა

7

**შალვა მშველიძე -  
ქართული ეპიკური  
სიმფონიზმის ფუძემდებელი**



### ცხელ გულზე

## უსიღვისოს თუ არ პარცხვენთ!..



**სააკაშვილის არაკაცურება  
ნაციონალურება ნაგლეჯება  
შინაე ლეჟან საბეიშვილმა პასუხი  
უნდა აგოს სიღისწამეზისთვის...**

ნუთუ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ გიჟისა არ იყოს, ყველა თავისუფალია და რაც უნდა, იმას დაწერს, იმას იტყვის, ვინც უნდა, მინაში ჩადებს ანდა მინიდან ამოიღებს, ათას სიბინძურეს დააბრალებს, გალანძლავს, გაათხავს, ქვეყნის მოღალატედ გამოიყვანს, ოღონდ იმ ერთ ქვეყნიდან გაძევებულ, დამნაშავე, ძებნილ, ყველანაირად გაკოტრებულ კაცს ასიათმევოს... რა იცი, ხვალ ის ტაკიმასხარა არაკაცი იქნებ ისევ ქვეყნის სათავეში მოექცეს და ერთი ათა-სად დაუფასოს აგიტატორობა ასევე პოლიტიკურ ტაკი-მასხარას, ვანოს შოუს მუდმივად სააკაშვილის ბანარზე გამობმულ ტიკინას, რომლის სახელი და გვარია ლევან ხაბეიშვილი.

ახლა მან თავის ვაიკოლეგებთან ერთად ახალი აქცია წამოიწყო: „ქართუ“ ივანიშვილის ფულის სარეცხი მანქანაო, უნდა დადგინდეს, რა შავი ფული თეთრდება საქართველოში.

ბარემ ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ, რის საფუძველზე გადმოაგდო ჭორის შხამში ამოვლებული თავისი ენა ამ გაქნილმა ცილისმნამებელმა, რომელიც ერთი დემაგოგიური ხერხით მოქმედებს: მე ვიტყვი, რომ ქურდი ხარ, შენ დადექი და ამტკიცე, რომ არა ხარო.

ისე, კაცმა რომ თქვას, როდემდე უნდა იყვნენ თავიანთ ნებაზე მიშვებული ეს ენანაგდებული პროპაგანდისტი ცილისმნამებლები?!

გურამ ნიკლაური

## საქართველო „ლია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარეა!

საქართველო, ისტორიაში პირველად, 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციის - „ლია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარე გახდა.

თავმჯდომარეობა ერთი წლით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისგან გუშინ ოფიციალურად გადაიბარა.

მაღალი დონის ღონისძიებაზე, რომელიც ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიის ფარგლებში გაიმართა, გიორგი კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ OGP-ის თავმჯდომარეობა და გამჭვირვალობისა და უფრო ძლიერი დემოკრატიისთვის მებრძოლი გლობალური მოძრაობის საქმიანობაში წვლილის შეტანა საქართველოს მთავრობისთვის საამაყოა.

„ჩემთვის უდიდესი პატივი და პრივილეგიაა, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლებს შორის ვარ და გამჭვირვალობისა და დემოკრატიის უდიდესი გავლენის მქონე გლობალური მოძრაობის ახლად არჩეული თავმჯდომარის სახით მოგმართავთ. ამ პროცესში ჩვენ ბევრ თქვენგანთან ვითანამშრომლებთ. ჩვენ თავიანთი თქვენი საუკეთესო გამოცდილება და დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩვენი წარმატების ისტორიებიც განვიხილეთ. აღმაფ-



როვანებს ის წარმატება, რომელსაც OGP-ის წევრი ქვეყნები მსოფლიოს გარშემო აღწევენ - აღმაფრთოვანებს მოსახლეობის მზაობა, გააკონტროლოს საკუთარი ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ ბევრი გაკვეთილის სწავლა მოგვისდება - არა მხოლოდ ერთმანეთის ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, არამედ უზრუნველების, მენარმების და კარგი მმართველობის სფეროში არსებული სხვა ლიდერებისგან“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ყურადღება გაამახვილა შეხვედრის თემაზე - „ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენა“ და აღნიშნა, რომ ეს საკითხი გონივრულ, გრძელვადიან სტრატეგიას მოითხოვს.

გიორგი კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება ოთხი მიზნის მიღწევა - თანამშრომლობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; გამჭვირვალობისა და კორუფციის წი-

ნაღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა; საჯარო მომსახურების მიწოდებაში ინოვაციების ხელშეწყობა; OGP-ის წევრ ქვეყნებს შორის პარტნიორობის გააქტიურება.

საქართველოსთვის საამაყოა, რომ ის არის იმ რამდენიმე ქვეყნიდან ერთ-ერთი, სადაც ხელისუფლების ყველა შტო აქტიურად არის ჩართული „ლია მმართველობის პარტნიორობის“ პროცესში. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეროვნულ დონეზე ყოვლისმომცველმა მიდგომამ უკვე შეიტანა წვლილი ქვეყანაში წარმატების მიღწევაში. შესაბამისად, ადგილობრივად OGP-ის კოლექტიური გათავისების გაფართოების მიზნით, ჩვენ მოვუწოდებთ OGP-ის მონაწილე ქვეყნებს, აამაღლონ ღიაობის სტანდარტები სასამართლო, საპარლამენტო და შიდა-სახელმწიფოებრივ დონეებზე.

„მაღლობას მოვასწავნებ ყველა ქვეყანას ამ ნდობისთვის და პარტნიორობის თავმჯდომარედ არჩევისთვის. საქართველო მზად არის, ყველა რესურსი გამოიყენოს თავისი თავმჯდომარეობის პერიოდის წარმატების უზრუნველსაყოფად. მჯერა, გვრძობა ღიაობის ემოქის წარმატება, ვერ მიიღწევა გლობალური პარტნიორობისა და ურთიერთმხარდაჭერის გარეშე“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.



### ბიორგზი ბახარია: ჩვენს ქსეპორტში ჩინეთის ბაზრის ნილი იზრდება



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ბახარია ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში შანხაის ვიცე-მერს ჭოუ ზოს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და ჩინეთთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ისაუბრეს. გიორგი ბახარიამ და შანხაის ვიცე-მერმა ასევე თბილისში ნოემბერში დაგეგმილი აბრეშუმის გზის ფორუმის მოსამზადებელი საკითხები განიხილეს.

„ჩინეთის მხრიდან საკმაოდ დიდი ინტერესია, განსაკუთრებით რამდენიმე დღის წინ უმსხვილეს კომპანია სპსს-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ. ჩვენ შანხაიში თავისუფალი ვაჭრობის ზონა დავათვალიერეთ, რომელიც ძალზედ შთაბეჭედავი იყო და ვფიქრობთ, რომ მათი გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მისაღებია. ჩინეთის მხარედი ბაზარი ჩვენს ექსპორტში, მათი შემადგენელი ნაწილი იზრდება და უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო. ვფიქრობ, რომ ასეთი გადავლელი შეხვედრები, რა დროსაც, როგორც დღეს გადავწყვიტეთ, იქმნება კონკრეტული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ციფრებზე იმსჯელებენ, რაც ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება“, – განაცხადა გიორგი ბახარიამ.

შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი დავით აფციაური ესწრებოდნენ.

### „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის“ მამისტრალურ განსაღწეპ ახალი საკაპრო გადასასვლელი აშენდა

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა დავით თვალაბეიშვილმა, სტეფანნმინდში „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის“ მაგისტრალური განსაღწეპის მდინარე ყურის ხევის მონაკვეთზე აშენებული ახალი საპარტოვი გადასასვლელი მონახულეს.

„ეს არის უნიკალური საინჟინრო ნაგებობა, რომელიც ქართული კომპანიების მიერაა აშენებული, ეს არის სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, რადგან ამ ინფრასტრუქტურაზე დაამოკიდებულია ჩვენს რეგიონში მთლიანად მთავრობის განვითარება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.“



რუქტურაზე დამოკიდებული სომხეთისთვის გაზის მიწოდება. ასევე, ჩვენი ქვეყანა ამ მაგისტრალიდან იღებს სატრანზიტო შემოსავლებს“, – განაცხადა ილია ელოშვილმა. პროექტის ღირებულებამ 1 421 574 ლარი შეადგინა და მისი მშენებლობა ტენდერში გამარჯვებულმა ქართულმა კომპანიამ შპს „ელიტაბურჯმა“ – მა განახორციელა.

### აუღიბის ახალი სელექციონალი ირაკლი მამკაბიშვილი

საქართველოს პარლამენტმა ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა დაამტკიცა. ენქისყრაზე მხარი მექვაბიშვილს 80 დეპუტატმა დაუჭირა.



ირაკლი მექვაბიშვილმა სახელმწიფო აუდიტორის პოსტზე ლაშა თორდია შეცვალა.

### დავით ნარმანი: თუ მოგაპალი მერი „სითი პარკის“ მიმართ მასკა ზომებს გაატარებს, ეს მხოლოდ მისასაღებელია



დავით ნარმანიას თქმით, ის „სითი პარკთან“ მოლაპარაკებით ვერაფერს გახდა. „სითი პარკთან“ ჩემი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილია – ეს არის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მათი საქმიანობის და მტაცებლური პოლიტიკის მიმართ. ბუნებრივია, მკაცრი ზომები უნდა იქნას გატარებული, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სითი პარკთან“ გაფორმებულია ძალიან კაბალური ხელშეკრულება. ჩვენ მოლაპარაკებით მათ-

თან ვერაფერს გავხდით, არც ერთი გონივრული წინადადება მათი მხრიდან არ იქნა მიღებული. თუ უფრო მკაცრი ზომები იქნება გატარებული მომავალი მერის მხრიდან, ეს მხოლოდ მისასაღებელია“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

### გურამ ახალია: არის გარკვეული ჯგუფის ინტერესი, რომ პატა გურჭულაძის მიმართ იყოს შაპი პიარი!

ეს ხელისუფლებიდან არა მგონია, რომ მოდიოდეს, არის გარკვეული ჯგუფის ინტერესი, რომ პატა გურჭულაძის მიმართ იყოს შაპი პიარი – აცხადებს ფონდ „იანვანას“ ხელმძღვანელი გურამ ახალია. მისი თქმით, ფონდი პროკურატურასთან ითანამშრომლებს და გამოძიება ობიექტურების შემთხვევაში დარწმუნდება, რომ „იანვანას“ საქმიანობაში უკანონო არაფერია:



„საზოგადოებას უნდა გავცეთ კომპეტენტური პასუხი თუ რა ხდებოდა ამ წნის განმავლობაში ფონდ „იანვანაში“. რატომ დაინტერესდა ახლა პროკურატურა სასწრაფოდ, ამაზე მე ვერ გავცემთ პასუხს იმიტომ, რომ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ პროკურატურასთან, ყველა დოკუმენტს წარვუდგენთ და დოკუმენტებზე დაყრდნობით იმედი გვაქვს, რომ გამოიტანს კომპეტენტურ დასკვნას, რომელსაც მივანვდით საზოგადოებას... არა მგონია, რომ ეს პოლიტიკური საფუძველი იყოს. ეს ფონდი არ არის ისეთი დიდი ორგანიზაცია, რომ გამოდგეს ამისთვის... ხელმძღვანელი სხვა ამბავია... მე დარწმუნებული ვარ, რომ ობიექტურად წარიმართება გამოძიება“, – აცხადებს ახალია.



შეგახსენებთ, რომ პატა გურჭულაძის ფონდ „იანვანას“ ფინანსების შესწავლა პროკურატურამ დაიწყო.

პეკინის გამზირის რეაბილიტაციას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ერთი თვის წინ დედაქალაქის მერი დავით ნარმანი ირწმუნებოდა, რომ კვლევების შედეგების თანახმად, პეკინის გამზირზე ცალმხრივ მოძრაობას ემხრობოდნენ მძღოლები და მოქალაქეები. ამიტომ ცალმხრივი მოძრაობის შემოღებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. თუმცა ამ სფეროს ექსპერტების მკვეთრი რეაქციის ფონზე, რომ აღნიშნული ტერიტორიის გაცალმხრივება საგზაო რისკებს წარმოშობდა, დედაქალაქის მერიაშიც დათმობაზე წავიდნენ და უკვე პროფესიონალურ დონეზე შეუდგნენ საგზაო ნაკადების გამოკვლევას ამ ქუჩაზე.

პეკინის გამზირი, რომელიც საათში 6 ათას ავტომობილს ატარებს, სიგანეში 27 მეტრს შეადგენს და ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ ქუჩად ითვლება თბილისში, დღეს საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინშია – დარჩეს ორმხრივად თუ გადაიქცეს ცალმხრივად?!

ამ გამზირის ცალმხრივად გადაქცევის იდეას არ ემხრობა ევროკავშირის ტრასევკას პროექტის ექსპერტი გილა კვაშილავა. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ ასეთ განიერ ქუჩებზე მართულების შეცვლა და ცალმხრივობის დაწესება უნდა მოხდეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გათვლების საფუძველზე. მით უმეტეს, რომ ეს ქუჩა ერთ-ერთი მთავარი ქუჩაა თბილისში, როგორც მანქანების გამტარუნარიანობის, ისე სავაჭრო თვალსაზრისით. აქ უამრავი ადამიანი დასაქმებულია და ეს არის ძალზე მჭიდროდ დასახლებული ურბანული ზონა. ამდენად, სატრანსპორტო საკითხების შეცვლას როცა ცდილობენ, პირველ რიგში, იქ მცხოვრები ადამიანების, დასაქმებულების ინტერესები უნდა გაითვალისწინონ; ისიც განსაზღვრონ, ამ სახის ცვლილება რო-

## „კოფორტი განქანებს კი არ უნდა შევუქმნათ, არავედ – აღამიანებს“



გორ გავლენას მოახდენს მიმდებარე ქუჩებზე, თუნდაც უკანასკნელ დანართებით რას მოიტანს მისი გაცალმხრივება?!

მისივე მოსაზრებით, სავარაუდოდ, პეკინის გამზირის გაცალმხრივების მიზანი საცობების მოგვარება იყო, მაგრამ შესაძლებელია, მომავალში გაცილებით უფრო მეტი სამანქანო ზოლი წამოვიდეს ამ ქუჩაზე, რითაც მიმდებარე ქუჩებს შეექმნება პრობლემები.

რაც შეეხება ველობილის, ექსპერ-

ტი მიიჩნევს, რომ ეს, ალბათ, დასაწყისია, თორემ ველობილი გაცალმხრივებულად, მარტო ერთ მონაკვეთზე ვერ იმუშავებს, ის რაღაცასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარეს მკა ლალიაშვილს აინტერესებს, რატომ ვუთმობთ დიდ გზას ავტომობილებს და ადამიანების ინტერესები გვაკინწყდება?! ქალაქის პრობლემა ხომ ის არის, რომ ჯერჯერობით მანქანები

რჩებიან პრიორიტეტულად, ვიდრე ადამიანები. პეკინის გამზირსაც როცა ვაცალმხრივებთ, არ გუმენტებს ვერ ვისმენთ, ქვეითისთვის რა სიკეთეს მოიტანს, გარდა იმისა, რომ მძღოლებისთვის იქნება კომფორტული, რათა საცობში არ იდგნენ.

„ჩვენ კომფორტი მანქანებს კი არ უნდა შევუქმნათ, არამედ ადამიანებს. შესაბამისი კვლევა არ ჩატარებულა და არ გვაქვს პასუხი, რატომ ვაპირებთ ცალმხრივი მოძრაობის დაწესებას? მერიისგან ვისმენთ, რომ დაკვირვების რეჟიმში არიან და, თუ ქუჩის გაცალმხრივება არ გაამართლებს, ძველურ რეჟიმს დაუბრუნდებიან. წინასწარ ვერ ვიტყვით, ცალმხრივი ქუჩა გაამართლებს თუ ორმხრივი. გაამართლებს მაშინ, თუ იქნება ნაკლები ხმაური, ნაკლები გამოწვავილება. აქ ტექნოლოგიების გამოყენებით დაფუძნებულ კვლევაზეა საუბარი. თანამედროვე ევროპული ქალაქების უპირატესობა არის უფრო მეტი მწვანე სივრცე. ცენტრალურ ქუჩებზე ნაკლები გზა ავტომობილს, მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მეტი ჯანსაღი ტრანსპორტი, ველოსიპედი და ფეხით მოსიარულეთა ბილიკები. ამ კონტექსტში პეკინის გამზირზე ველობილის მოწყობა დადებითია, თუმცა ეს მხოლოდ ფრაგმენტია და არ უნდა შეჩერდეს, მას ლოგიკური გაგრძელება უნდა მოჰყვეს. უხერხული იქნება, მხოლოდ ერთ მონაკვეთზე – ბულაჩაურიდან მიროტაძის ქუჩამდე ველობილის გაკეთება, რადგან არსად არ მიყვავართ ამ ველობილის. აუცილებელია ამის გაგრძელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება გადაყრდნობილი თანხა და შესაძლოა, პარკირების ადგილად იქცეს გამოყენებული ველობილიკი“, – აცხადებს ეკა ლალიაშვილი For.ge-სთან საუბარში.

მანანა ნოზაძე





# ნინო ბურჯანაძე: სააკაშვილი აშშ-ის სენატორი სადაზვერვო სამმართველოს დაპატიმრებით რუსეთში 2018 წლის მსოფლიო საფეხურით ჩაეპიონაბის ჩაზღვრას ცდილობს!

**შპრანინაში საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მოქმედება მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩება. შექმნილ სიტუაციაზე და მომხდარ ამბებზე თავის შეფასებებს და ხედვებს „ნეზავისიმია გაზეტას“ მიმომხილველს იური სიმონიანს უზიარებს საქართველოს პარლამენტის ექსპერტი, ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი 2007-2008 წლებში, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე.**

– შპრანინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა მიხეილ სააკაშვილის უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა. ახლა წვრილმანები (თუ რატომ და რა მიზნით გააკეთა) აღარავის აინტერესებს და ყველა თვლის, რომ მომხდარი ამბები პოლიტიკურ დევნას წარმოადგენს, რაც პრინციპში, სინამდვილეა. შეცდომა თავდაპირველად დაიშვა: პეტრო პოროშენკომ შესანიშნავად იცოდა, რომ საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მიმართ პრეტენზიები არსებობს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული... მაგრამ მან ამ ყველაფერზე თვალის დახურვა, იგნორირება თბილისის მოთხოვნებს მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებაზე და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და მისი თანამზრახველები მსოფლიო დემოკრატიის ვარსკვლავებად წარადგინა, ხოლო როცა მიხეილ სააკაშვილმა პეტრო პოროშენკოს პრობლემები შეუქმნა, ისიც ადგა და მოქალაქეობა ჩამოართვა. ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, შეთქმულებას ჰგავს. ვფიქრობ, პეტრო პოროშენკო ვიღაცებმა გააცურეს – ისე, როგორც ეს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს გაუკეთეს აშშ-ის გარკვეულმა წრეებმა, როცა მას სამხრეთ ოსეთზე შეტევა ურჩიეს, მაგალითად, სენატორ ჯონ მაკკეინის გუნდმა. შესაძლოა, მსგავსი რამ მოხდა უკრაინაშიც: პეტრო პოროშენკომ აშშ-ის სპეცსამსახურებს იმედები გაუცრუა, მათ კი (მიხეილ სააკაშვილის სახით) უკრაინისა და რუსეთისათვის დამატებითი „თავის ტკივილის“ შექმნა გადაწყვიტეს.

პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მომხდარი ინციდენტი ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ უკრაინაში სახელმწიფო ხელისუფლება არ არსებობს. ის, თუ როგორ ელაპარაკებოდა მიხეილ სააკაშვილი სასაზღვრო დაცვის გენერალს, თუ როგორ დაარღვია ექსტრადირება უკრაინის საზღვარი თავის თანამზრახველებთან ერთად, როგორ მიდი-მოდიან ამის შემდეგ ისინი უკრაინაში და ამ დროს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები აცხადებენ, მათი დაკავებისთვის საფუძველი არ არსებობს, ეს ყველაფერი უკრაინის ხელისუფლების აბსოლუტური უხერხემლობის დადასტურებაა წარმოადგენს... თვითონ მიხეილ სააკაშვილს, ვფიქრობ, მშვენივრად ესმის, რომ მას ბოლომდე სიარული მოუწევს. მან მიაღწია იმას, რომ თუ მსოფლიოს ყველა ტელეარხით არა, რუსეთში ხომ მაინც აჩვენებენ. მე იმის უფლება არ მაქვს (უკრაინის ხელმძღვანელებს) ვურჩიო, მაგრამ ვფიქრობ, ისინი არასწორად იქცევიან – მსგავსი მიდგომით მიხეილ სააკაშვილის პოპულარობა მატულობს. მას პიარ-აქტიურობა ძალიან ესმარება.

– საქართველოს ხელისუფლებამ ამ დღეებში კიდევ ერთხელ მოითხოვა უკრაინისაგან მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიცია. რამდენად სწორდება ოფიციალურ თბილისის ექსპრეზიდენტის დაკავება-გადმოცემა და მისი თანამდევნი ზედმეტი პრობლემები, რომლებიც შეიძლება მას უკან დაუბრუნდეს – „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის მატების სახით?

– ეს აბსოლუტური ფარსია. იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ

პოლიტიკურ ფიგურად რჩება და საქართველოსა და უკრაინისთვის (და კიდევ ბევრისთვის) თავის ტკივილს წარმოადგენს, ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს უნდა ვუმადლოდეთ. არაფერი არ გაკე-



თებულა მიხეილ სააკაშვილის დამსახურებულად დასჯის მიზნით. ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადანყვიტა, თავისი კეთილდღეობა რისკის ქვეშ არ დაეყენებინა და კომპიტიაციის პოლიტიკა განახორციელა. ვიცი ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაა აღძრული, ვხედავ, როგორ მიდის ამ საქმეების გამოძიება. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს ვეუბნებოდი, რომ თუ ხელისუფლებას ნამდვილად სურს ექსპრეზიდენტის დასჯა, მაშინ საქმე უნდა აღძრას 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე, როცა მიხეილ სააკაშვილმა საქართველო წინასწარ წაგებულ ომში ჩაითრია და ტერიტორიები დამატებით დაკარგა... საქმე უნდა აღძრულიყო 2011 წლის 26 მაისს მომხდარ ამბებზე, როცა ექსპრეზიდენტმა ჩვენი მიტინგი დაარბია, რასაც ადამი-

ანთა მსხვერპლი მოჰყვა... უნდა აღძრულიყო საქმე საპატიმროებში მომხდარ ადამიანთა წამების ფაქტებზე და საერთოდ, იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა შექმნა და ამით ყველა დემოკრატიული ფასეულობა მოსპო. მაგრამ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა პიჯაკებისა და პალტოების ყიდვაზე, საფლავების შესამკობ გვირგვინზე, რომელის მიხეილ სააკაშვილმა ლეს კაჩინსკის დაკრძალვის დროს წაიღო. ცხადია, საბიუჯეტო თანხების უკანონო ხარჯვაც დანაშაულია, მაგრამ

მეორე კონტროლდება. პროექტის მიზანია რუსეთის პრობლემები შეუქმნას 2018 წლისათვის, როცა იქ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უნდა მოხდეს: მსოფლიო საფეხურით ჩემპიონატი და პრეზიდენტის არჩევნები. დასავლეთში ბევრს სურს, რომ ჩემპიონატი რუსეთში არ ჩატარდეს. გარკვეულ ძალებს სურთ, რომ რუსეთს უკრაინისთან, მოლდოვასთან, და, ალბათ, საქართველოსთანაც მძიმე პრობლემები შეექმნას. მიხეილ სააკაშვილი კი ამ გეგმის შესასრულებლად საუკეთესო კანდიდატია.

– მაგრამ განა რისი გაკეთება შეუძლია მიხეილ სააკაშვილს იმისთვის, რომ ვთქვათ, რუსეთში მსოფლიო საფეხურით ჩემპიონატი ჩაიშალოს?

– მკითხაობას არ დავინყებ, მაგრამ რით გახდა იგი ცნობილი მსოფლიოში? მასსოვს ერთ-ერთ ავტორიტეტულ დასავლურ გამოცემაში დაბეჭდილი სტატია სათაურით „დავითის ბრძოლა გოლიათთან“. იმ დროს მიხეილ სააკაშვილს ყველაფერს პატიობდნენ – ადამიანის უფლებების დარღვევებს, დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციას, კორუფციას (ხელისუფლების ზედა შევლონებში) მხოლოდ იმისთვის, რომ მას პუტინისთვის ეგინებინა და ანტირუსული დროშა ეფრიალებინა. მე არ ვიცი, რას გააკეთებს იგი კონკრეტულად. მაგრამ თუ უკრაინაში სიტუაცია გამწვავდება, თუ მადესტაბილიზებული პროცესები გაღრმავდება, ეს აუცილებლად აისახება რუსეთზეც, რომელიც იძულებული გახდება, საპასუხო მოქმედება განახორციელოს – გადადგას დიპლომატიური ნაბიჯები, რათა პოლიტიკური ზომები მიიღოს. უკრაინაში მომხდარი ამბები ყველა შემთხვევაში რუსეთზე გავლენასაც ახდენს. არავინ იცის, რას გააკეთებენ, როგორ იმოქმედებენ და სადამდე მივლენ მიხეილ სააკაშვილის ზურგს უკან მდგარი ადამიანები... მოდით გულწრფელები ვიყოთ: განა ვინმე იმას სუთი წლის წინათ იფიქრებდა, რაც უკრაინაში მოხდა – ყირიმსა და დონბასში? ღმერთმა ნუ ქნას, რომ მსგავსი მოვლენები კიდევ განმეორდეს, მაგრამ იმ ხალხს, ვინც მიხეილ სააკაშვილის ზურგს უკან დგას, უკრაინის ბედი სრულიადაც არ აღადრდება, მათთვის მთავარია მხოლოდ საკუთარი მიზნები და მათი განხორციელება.

წყარო: [http://www.ng.ru/cis/2017-09-15-7074\\_scenario.html](http://www.ng.ru/cis/2017-09-15-7074_scenario.html)

## კამბოჯაში მისვალეულთა ფსტივალი დაიწყო



სენიებლად. ტრადიცია სათავეს უძველესი დროიდან იღებს, მაგრამ მას განსაკუთრებული დატვირთვა წითელი კმერების სასტიკი რეჟიმის დამხობამ შესძინა. რეჟიმს კამბოჯის მოსახლეობის მესამედი, 2 მილიონ 200 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

## რომში გაპიანული ტურისტი გააუბატიურეს

ძალადობის მორიგი აქტი იტალიაში. რომში კიდევ ერთი ტურისტი გააუბატიურეს. 57 წლის გერმანელი ქალი ქალაქის პარკში

კამბოჯაში ტრადიციული ფესტივალი დაიწყო, რომელსაც ადგილობრივები გარდაცვლილთა დღეს უწოდებენ. კამბოჯელები ამ დღეს ლოცულობენ და საგანგებოდ კერძებსაც ამზადებენ გარდაცვლილი ნათესავებისა და მეგობრების სულლების მოსახსნის მიზნით. ტრადიცია სათავეს უძველესი დროიდან იღებს, მაგრამ მას განსაკუთრებული დატვირთვა წითელი კმერების სასტიკი რეჟიმის დამხობამ შესძინა. რეჟიმს კამბოჯის მოსახლეობის მესამედი, 2 მილიონ 200 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

ხეზე მიაბეს და მასზე ძალა იხმარეს. ამის შემდეგ ის გაძარცვეს და პარკში მიატოვეს. ანალოგიური ინციდენტი იტალიაში აგვისტოშიც მოხდა. მოძალადეებმა პოლონელი ტურისტი გოგონა გააუბატიურეს, მისი მეგობარი ბიჭი კი სასტიკად სცემეს.

## ესპანეთის ტყეებში მესხანკა თხები გაპიანდნენ

მესხანკრე თხები - ასე შეარქვეს ესპანეთში ცხოველებს, რომელთა მთავარი დანიშნულებაც ტყის ხანძრების წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარებაა. საპილოტე პროგრამა თხების საბალახოდ გაშვებას იმ მასივში ითვალისწინებს, რომლებიც პოტენციურ ხანძარსაში უზონებად ითვლებიან. შინაური ცხოველების მიერ ბალახისა და მცენარეებისგან გასუფთავებულ ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მამდე იქნება დაყვანილი. თხების მიერ გასუფთავებული ტერიტორია მესხანკრებს საჭიროების შემთხვევაში საქმესაც გაუმარტივებს.






რაც უნდა ქვირი დაჯდეს, მაინც უნდა გავაკეთოთ!

„ენგურჰესი ყველანაირი პარამეტრით აღემატებოდა

კალიფორნიის ყველაზე მაღალ კაშხალს“



2015 წელს ენგურჰესის თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. იმხანად სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ ძეგლის სტატუსის მინიჭება წინადადებული ნაბიჯი იყო და ის დაიცავდა ამ ნაგებობას გაყიდვისგან, პრივატიზაციისგან.

დღეს კი ენგურჰესზე დიდ იმედებს ამყარებენ და არა მხოლოდ ენერგომინორების თვალსაზრისით. ენგურჰესი ტურისტებისთვის მიმზიდველ ცენტრად უნდა გადაიქცეს.

„ენგურჰესს ვაქცევთ საერთაშორისო ტურისტულ კომპლექსად, რომელსაც მსოფლიოში ერთადერთი ანალოგი აშშ-ში ექნება“, -აცხადებს საქართველოს პრემიერი გიორგი კვიციანიშვილი და ენგურჰესის ტურისტული ცენტრის ორიგინალური, ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურით მონაცემებს აანონსებს.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ ეს მძლავრი ჰესი საქართველოს ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად იქცევა.

პრემიერის ნათქვამს იზიარებს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა, რომელიც ენგურჰესის აშენების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ და დიდი ღვაწლი მიუძღვის მის მშენებლობაში, როცა საბჭოური საქართველოს მთავრობამ ეს პროექტი რუსებს „შეაპარა“.

ბატონი ანზორ ჭითანავა აცხადებს, რომ ისეთი უნიკალური ნაგებობები, როგორცაა ენგურჰესი და მისი ანალოგები მსოფლიოში, ყველგან გამოცხადებულია ტურისტული ზონის ღირებულ ნაწილად. ასეთ ნაგებობებს შესანიშნავად იყენებენ ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც ენგურჰესით განსაკუთრებული დაინტერესება გასაკვირი არ არის.

„დადებითია ის ფაქტი, რომ ენგურჰესს მიენიჭა ინდუსტრიული მშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რადგან ასეთი ობიექტები მსოფლიოში ერთეულებია და ამ ერთეულებს შორის ენგურჰესი ერთადერთია თავისი უნიკალური პარამეტრებით, მახასიათებლებით. მრავალ ქვეყანაში პირადად მინახავს, რომ ჰიდროტექნიკური კვანძები, მათი უნიკალური შემადგენლობით, დერივაციული სისტემებით, წყალსაცავებით, შესანიშნავ ობიექტად ქცეულა გართობისა და ტურისტების მიზიდვის თვალსაზრისით. ასე ხდება აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, ავსტრიაში.“

რაც შეეხება ენგურჰესს, ის არის სვანეთისა და სამეგრელოს რეგიონების გზაჯვარედინზე, გზაგასაყარზე და ითვლება ამ ორი რეგიონის შემაერთებელ ხიდად. ის ინტერესი, რომელიც შემინწევს ამ ორი კუთხის მიმართ, კიდევ უფრო გაძლიერდება ენგურჰესის ტურისტული კომპლექსად გადაქცევის შემთხვევაში“, - აცხადებს ანზორ ჭითანავა ჩვენთან საუბარში და განმარტავს, რომ ენგურჰესი დღესაც იზიდავს ტურისტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ენგურჰესის მიდამოებში მაღალი დონის ინფრასტრუქტურა არ არის, ბევრი ტურისტი, მათ შორის, სპეციალისტი ეტანება ამ ნაგებობას და გამოხატავს აღფრთოვანებას ამ ობიექტის ნახვით.

ანზორ ჭითანავას ახსენდება განვლილი წლები, როცა აშშ-ში, კალიფორნიაში ჩასვლისას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოროვილის თაღოვანმა კაშხალმა. საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი, როცა სან-ფრანცისკოს ზონაში დაამგრეველი მინისძვრა მოხდა და საბჭოთა ექსპერტების შემადგენლობა მასთან ერთად გაემგზავრა ამერიკაში მინისძვრის შედეგების შესაფასებლად. 14 ობიექტი დაათვალი-

ერეს აშშ-ში, კალიფორნიაში, რომელიც სეისმურად აქტიურ ზონად ითვლებოდა და ოროვილის თაღოვან კაშხალსაც ეწვივნენ, რომლის სიმაღლეც 220 მეტრია.

„18 დოლარი ღირდა იმ ტერიტორიაზე შესვლა. ექსპერტებს გადაგვიხადეს ფული, შეგვიყვანეს და გვაჩვენეს ეს ობიექტი. იქ დაგვხვდა ყველაფერი ის, რაზეც დღეს საქართველოში საუბრობენ. სანახაობითი, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის, ევოლუციის თვალსაზრისით წარმოგვიდგინეს, თუ როგორ ხდებოდა ამ რეგიონის ათვისება, აბორიგენებიდან დაწყებული, თანამედროვეობით დამთავრებული. იმ დროს ჩვენი კაშხალი ყველა პარამეტრით აღემატებოდა ამერიკის კაშხალს, რომელიც 220-მეტრია, ხოლო ჩვენი 271-მეტრია იყო. ჩვენ ვიყავით პირველადგულზე და ამყარებდით, რადგან იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელი გახლდათ, რომელსაც ეს კაშხალი დაუპროექტებია და მასზე ზედამხედველობა გაუწევია. ამიტომაც მიმინვიეს ამერიკაში, სადაც ხელი მოვანერე, რომ იქაური დამანგრეველი მისნისძვრის შედეგად იმ ნაგებობებსა და წყალსაცავებს არაფერი მოსვლიათ, ერთი კენჭიც არ ჩამოვარდნილა არსად. შეიძლება, მიკერძობდნენ ჩამოვარდნას, მაგრამ ჩვენს ენგურჰესთან მიმსგავსებული ამერიკის თაღოვანი კაშხალი სხვა ქვეყნებში ნანახ კაშხლებზე მეტად შემეყვარდა.“

ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენად ძვირადღირებული იქნება, ენგურჰესთან მისასვლელი გზა, ასევე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემები, რაზეც ანზორ ჭითანავამ განმარტა, რომ იქ გზები უკვე გაყვანილია. თავის დროზე განხორციელებული მშენებლობის დროს თავისთავად დარჩა გარკვეული ინფრასტრუქტურა და იქ არაფერია გასაყვანი და ასაფუთებელი. გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც სირთულეები გამოიჩინებოდა. უფრო მეტიც, იქ საბაგირო გზაც იყო გაყვანილი, კაბელკრანებიც არსებობდა, ლიფტებიც მუშაობდა, გზაც იყო, რომელსაც მე-11 გზად მოიხსენიებდნენ სპეციალისტები.

ეს გზა დღესაც არის. უბრალოდ, შეიძლება, იგი კეთილმოეწყოს და იქ განთავსდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის ელემენტები - მაღაზიები, სპორტული ცენტრები. ენერგეტიკოსის აზრით, ეს ინფრასტრუქტურა რაც უნდა ძვირი დაჯდეს, ყოველთვის გამართლებულად ჩაითვლება, რადგან ეს იქნება უკვე არსებული ბაზის ზედნაშენი.

„საამისო პროექტი კეთდება, დავალბა გაცემულია, ორგანიზაციები მუშაობენ. სავარაუდოდ, ამის შემდეგ მოხდება ამ პროექტის საჯარო განხილვა. ალბათ, მეც მივიღებ მასში მონაწილეობას. შემდეგ უკვე გამოცხადდება ტენდერი მის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ საქმეში ჩაერთვებიან ენგურჰესის დღევანდელი პატრონები, ექსპლუატაციის სამსახურის მაღალკვალიფიციური პერსონალი. მთავარი ის კი არ არის, ტურისტული ინფრასტრუქტურა შევქმნიოთ ენგურჰესს, არამედ მთავარია, ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ შეძლოს სანახაობითი და ეკონომიკური ნაწილის გამართლება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაფუძვთ, რომ რაიმე შესწორება შევქმნიოთ ექსპლუატაციის პირობებში, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოებას და ამ ობიექტის თუ კვანძის ფუნქციონირებას. აღნიშნული ღონისძიების დამთავრების შემდეგ ტურისტი გაცილებით მეტ ინფორმაციას მიიღებს, გართობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ელემენტების ჩართვა კი ადგილობრივი პირობებს უფრო კარგად წარმოაჩენს.“

მანანა ნოზაძე

თვალში - ნაცარი...

როსა სამინისტრო უკადრებულს კადრულობს

ჩვენი ქვეყანა, საერთაშორისო დონეზე, გაეროს ქვეყნების ჩამონათვალში „ჯორჯიას“ ნაცვლად საქართველოდ რომ უნდა მოიხსენიებოდეს, ამ თემას უამრავი პუბლიკაცია მივუძღვენი. მას მრავალი სატელევიზიო გადაცემა დაეთმო. ამ იდეისადმი არცთუ კეთილგანწყობილად დამოკიდებული ერთ-ერთი ოპონენტი იძულებულია, აღიაროს, რომ თქვენმა მონა-მორჩილმა „უკანასკნელ ხანს ნამდვილად შეძრა ცა და დედამიწა, ანუ არ დატოვა არც ერთი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელთათვისაც არ მიემართა ამ თავისი დაჟინებული თუ ახირებული „სანათლიო“ წინადადებით.“

ამ თვალსაზრისით ჩატარებული ჩვენი უკიდევანო საქმიანობა დაავიწყდება საკითხის პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე განხილვამ. ჩვენი იდეის რეალიზაციის მიზნით, სათანადო დავალბა მიეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (№1291/4-4, 16.02.2016), მაგრამ სამსუხაროდ, სამინისტრომ თავი შეიკავებინა და იძულებული გავხდით, გაზუთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამომქვეყნებინა სტატია სათაურით „მასალები საბრალებლო დასკვნისათვის“. სამინისტროს საქმიანობა ამ მიმართებით ჩვენს მიერ, არც მეტი, არც ნაკლები, შეფასებული იქნა როგორც: „არაქართული, უსულგულო, არასახელმწიფოებრივი, არამოქალაქეობრივი, არაკომპეტენტური, უპრეცედენტო და არაკაცური“. საგულისხმოა, რომ ამ ფაქტის თაობაზე საქმის კურსში ჩავაყენეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მაგრამ პასუხი, არც ამ შემთხვევაში მიგვიღია!

არასახელმწიფოებრივი, უფრო ზუსტად კი დანაშაულებრივი ქმედებაა, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომ თითქოს „გაეროს“ წევრი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს დღემდე მოიხსენიებს, როგორც „ჯორჯია“, რაც მტკნარი სიცრუეა! ჩვენი გაანგარიშებით კი მსოფლიოს მოსახლეობის 52% საქართველოს დღესაც მოიხსენიებს (მათ შორის, ოფიციალურ დონეზეც) „გერუზიად“, 42% - „გურჯისტანად“, დანარჩენი, ანუ უმცირესობა - „ჯორჯიად“. აქედან გამომდინარე, ამას, ჩვენი აზრით, „თვალეში ნაცრის შეყრა“ ჰქვია!

უფრო მეტიც, სამინისტრო უკადრებულს კადრულობს და ამტკიცებს, რომ საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების საელჩოების აბრევურე როგორც წესი, სიტყვა „ჯორჯია“ დაფიქსირებული. ყველაზე უფრო კურორტულია გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ეროვნული ეთნოგრაფიული მუზეუმის სარეკლამო აბრა, რომელზეც თქვენსმეტ უცხოურ ენაზეა შესრულებული ამ მუზეუმის სრული სახელწოდება. წარმოადგინეთ, რომ მათ შორის ერთი გამონაკლისიც კი არ არსებობს, სადაც ნახსენები იყოს სიტყვა „ჯორჯია“ (იხ. თანართული ფოტო).

რა ჰქვია ყოველივე ამას, - ამის განსჯის უფლება ჩვენს ძვირფას მკითხველს მივანდოთ.

ცნობისთვის: საჭიროდ ვთვლი, კვლავ გავიმეორო ჩემი მრავალგზის ნათქვამი, რომ „ჯერ არ შემგვედრია ვინმე, ვინც რაიმე სერიოზულ არგუმენტებზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი იდეის ხორც-შესხმას“.

ანზორ ბაბუხაძე, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წინ, ეგრეთ წოდებულ „ლალიძის წყლებს“ (ამჟამად მიტროფანე ლალიძის) ქუჩაზე საშუალო სიმაღლის, დაკუნთული, ნათელ-შუბლიანი, მშვიდი სახის კაცი ნელი ნაბიჯით ამოდიოდა. ჩაფიქრებული ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ვინ იცის, იქნებ გონებაში ახალი მუსიკალური მელოდია უტრიალებდა. მომთაბლოვდა თუ არა, მივსალამე და მაშინვე მადლობის სიტყვებით მივმართე, მისი ხალხურ მელოდიაზე შექმნილი შესანიშნავი რომანსის „ოროველას“ გამო, რომელსაც ყველა ჩემს კონცერტზე უცვლელად ვასრულებდი და საკავშირო ფირმა „მელოდის“ მიერ გამოშვებულ გრამფირფიტაშიც არის შესული. კომპოზიტორი ფიქრებიდან სწრაფად განთავისუფლდა, მადლობა გადაიხსადა და მთხოვა ნაწარმოების მოსმენა.



ვენებს თავისი უშუალოდობითა და სიას-ლით, მუსიკალური სიმძაფრითა და ძარღვიანობით, რომ მისი ავტორი ქართულ მუსიკაში შემოვიდა ნამდვილი ეპიკური სულით და მას თან შემოჰყვა მთის ბუნების სინოყვირე და სურნელე-ბა! — წერდა ლადო დონაძე. მშველიძემ თავის ქმნილებებში აშკარად ევროპული გამოცდილება გამოიყენა, ზოგად ევროპულ მუსიკალურ გამოცდილებებს დაუმორჩილა, თუმცა მას ეროვნული თვითმყოფადობა და ხასიათი არ დაუკარგა, პირიქით მძაფრად ასახა მთის ხალხური მუსიკალური ენა, მასში „ღრმად განტოტვილი“ ფესვები.

გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გააქტიურდა პატრიოტულ-პერიოდიული და მოქალაქეობრივი თემატიკით გატაცება; ხალხის, სამშობლოს ამალელებული სახეების ჩვენება. მშველიძემ იგრძნო, რომ ამ მიმართულებით მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად და წარმოსაჩენად მისთვის ყველაზე ახლობელი და რეალური სწორედ გენიალური ვაჟა-ფშაველას პოეზია იყო. მის „ზვიადაურს“ მოსდევს სიმფონიური პოემა „მინდია“, „ველის მჭამელის“ მიხედვით. უკვე ამ პერიოდში კომპოზიტორის შემოქმედების მუსიკალური „მზერა“ მთლიანად მიჰყრობილია მონუმენტური სიმფონიური ფანრიკს. ამ მხრივ იგი ქართული ეპიკური სიმფონიზმის ფუძემდებელია. მან მრავალი ინტონაციური სიასხლე შემოიტანა ეროვნულ მუსიკაში. ცნობილია მშველიძის ექვსი სიმფონია, ორატორია „კავკასიონი“, რომელიც სამამულო ომში კავკასიის გმირ დამცველებს მიუძღვნა. ომის პერიოდში შეიქმნა აგრეთვე სიმფონიური სურათი „მზის ამოსვლა“, რომელიც უცხოეთში 25-ზე მეტ ქალაქში შესრულდა.


ჩანანერებს ამრავლებდა. შალვა მშველიძისათვის მეტად საინტერესო იყო 1929 წლის ზაფხული. ამ წელს მოეწყო სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიცია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. მან ფეხით შემოიარა არხოტის, ბარისასოს, შატილის, შუაფხოს, ჩარგლის, ალვანისა და რამდენიმე სხვა რაიონისა და სოფლის შესანიშნავი ადგილები. მთიელებთან აღამებდა და ათენებდა, გულისყურით უსმენდა უამრავ ხალხურ ლეგენდას, ზღაპარს, და, რაც მთავარია, ხალხურ სიმღერებსა და საკრავებზე შესრულებულ მელოდებს. ჩანანერები

# შალვა მშველიძე - ქართული ეპიკური სიმფონიზმის ფუძემდებელი

შალვა მშველიძე არ ღალატობს თავის მუსიკალურ მიმართულებას და ქმნის: სიმფონიურ პოემას — „ვეფხი და მოყმე“; სიმფონიურ სიუიეტებს — „ინდური“ და „პოლიფონიური“; სიმფონიურ სურათებს — „აზარი“ და „ფშავური“; ბალადას „ამრიტა“; „სიმფონიურ ცეკვებს“ — ფერხული, სამაია, სიმდი, ქართული, მწყემსური; ორატორიას — „მარადი თქმულება“; სოლო სიმღერას — „ხევსურული ნანა“ ორკესტრის თანხლებით; უამრავ საგუნდო სიმღერას, მათ შორის — „სიმღერა საქართველოზე“. როგორც მონუმენტური მუსიკის შემოქმედი, კომპოზიტორი უფრო რთულ და სერიოზულ ნაწარმოებებზე იწყებს მუშაობას და ქმნის ოპერებს — „ამბავი ტარიელი-სა“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით და „დიდოსტატის მარჯვენა“, კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მას არაერთი მუსიკა აქვს შექმნილი დრამატული თეატრებისა და კინოფილმებისთვის. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სიმღერების კრებული და მეტად საჭირო და საინტერესო ნაშრომი „საკრავთმცოდნეობა“.

შალვა მშველიძე ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად. არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად... 1929 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1942 წლიდან კი — პროფესორი. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი შალვა მშველიძე გარდაიცვალა 1984 წელს 80 წლის ასაკში. დიდია მისი დამსახურება ქართული ეროვნული მუსიკალური ხელოვნების წინაშე, რომელიც უდავოდ გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს ცნობილ ხელოვნათა მუსიკალურ მატრიანეში.

**შალვა მშველიძე, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.**



...დღემდე არ მავინყდება თბილისი სიტყვები, რომელიც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, ორგზის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო, ზაქარია ფალიაშვილის და ჯავახიშვილი ნერუს სახელობის პრემიების ლაურეატის, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის შალვა მშველიძის შეფასებას გამოხატავდა. ეს ჩემთვის უდიდესი სტიმული გახლდათ და ყოველთვის მეხმარებოდა საქმიანობაში.

შალვა მისიელის ძე მშველიძე დაიბადა 1904 წელს თბილისში, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია წინაპართა ძირძველი ადგილი, დუშეთის რაიონის სოფელი მჭადიჯვარი. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა მთას, მის მკაცრ ბუნებას, ყოფა-ცხოვრებას, რამაც შემდგომ დიდი როლი ითამაშა მშველიძის მუსიკალური შემოქმედების მიმდინარეობაზე. მან პირველდანიყებით განათლება თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ საშურის გიმნაზიაში ეუფლებოდა სწავლას. სწავლის პერიოდში სხვადასხვა გატაცება ჰქონდა: მსახიობობა, თვითშემოქმედებით გუნდს ხელმძღვანელობდა, პოეზიაშიც კი სცადა ბედი...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ცნობილი ეროვნული მოღვაწის ია კარგარეთელის მომღერალთა ანსამბლში ეზიარა ქართული ხალხური სიმღერის მადლს. შემდეგ იღბლმა სურამში ძუკულოლუას შეახვედრა. მეგრულ-აფხაზური სიმღერების ამ უებრო მცოდნის მეთვალყურეობით გაინაწა და მისივე რჩე-



ოთარ თაქთაიშვილი, შალვა მშველიძე, რევაზ ლალიძე, სულხან სინსაძე, ალექსი მაჭავარიანი.

ვით საგუნდო კოლექტივს ჩაუდგა სათავეში. თავდაპირველად, 1924 წლიდან, პროფესიული განათლების მიღებაც კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე დაიწყო. ამრიგად, ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნება და ნაციონალური საგუნდო მუსიკა შალვა მშველიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მოწოდება გახდა. სულ მოკლე ხანში, როგორც მუყაითი სტუდენტი, უგამოცდოდ ჩარიცხეს საკომპოზიციო ფაკულტეტზე. კომპოზიციის რთულ ხელოვნებას ეუფლებოდა პროფესორების სერგეი ბარხუდარიანის და მისიელ ბაგრინოვსკის ხელმძღვანელობით. პარალელურად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ხალხური სიმღერების თვალ-მარგალიტებს აგროვებდა, მათ

სანოტო ქაღალდზე გადაჰქონდა, შემდეგ კი საკუთარ შემოქმედებით ქურაში ატარებდა და ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნიდა. ინტენსიურად ეცნობოდა ზოგად ლიტერატურას და კვლევით მასალებს მისი შესახებ.

მშველიძის მთელი არსება გაჟღერებული იყო მთაში მოსმენილი ხალხური მუსიკის სურნელით, მთიელთა ინტონაციებით. ხალხური შემოქმედების წინააღმდეგ, მისი სიღრმეებიდან არაერთხელ გამოუტანია მანამდე უცნობი მელოდია, რომელსაც შემდეგ კომპოზიტორის ხელში იშვიათი სიღამაზე და ხიბლი შეუქმნია. ასე დაიბადა მისი პირველი რომანსი „თუშის ქალები“, რასაც „ოროველა“ მოჰყვა. ამის შემდეგ იქმნება სიმფონიური სურათი „ფშავური“, „გახა ნიკლაური“, „ხევსურული ნანა“, რომე-

ლიც შემდეგ „ქალთა ცეკვად“ შევიდა ოპერაში „ამბავი ტარიელისა“. მასზე ამბობდნენ, რომ მან საკუთარი თავი იპოვა მის მიერვე აღმოჩენილ „ფშავურ კილოში“, რაც სრულად მშველიძის სიმფონიურ სურათ „ფშავურში“ აისახა და ამით შემოქმედებითი ინდივიდუალობით და მთის კილოს თავისებურებით გამდიდრებული წარდგა მსმენელის წინაშე. კომპოზიტორის მუსიკალური მემკვიდრეობა იმითაც, საინტერესო და ღირებული, რომ მან მთის ხალხურ ფოლკლორს გზა გაუხსნა და პროფესიული მუსიკალური შემოქმედება ამ მძლავრი მიმართულებით წაიყვანა. განა შეიძლება მთის მუსიკალურ ფოლკლორზე იფიქრო და თვალწინ ჩვენი ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა არ დაგიდგეს, თავისი გასაოცარი პოეზიით?

შალვა მშველიძემ მთის ბილიკებით იარა და ვაჟას „სტუმარ-მასპინძლამდე“ მივიდა. ასე შეიქმნა ქართულ მუსიკალურ სივრცეში პოეტის გენიით შთაგონებული ერთ-ერთი პირველი სიმფონიური პოემა „ზვიადაური“. შეიძლება, უცნაურადაც გამოიყურებოდეს, რომ ბობოქარი ვაჟა, კომპოზიტორის მიერ შექმნილ უსიტყვო ინსტრუმენტულ მუსიკაში აჟღერდა. ჯერ კიდევ მაშინ, 1940 წელს შექმნილ „ზვიადაურში“ დავინახეთ ფშავური ცალხმიანი სიმღერის ფრიალ საინტერესო და თავისებური კილო. გარდა ამისა, ამ სიმფონიურ ნაწარმოებში პირველად ვიგრძენით მუსიკაში ასახული საქართველოს მთა, თავისი მკაცრი, გოლიათური ბუნებით. მასში ნათლად გამოჩნდა ვაჟას ნაწარმოების გმირული სახეები. სიმფონიური პოემა „ზვიადაური“ ყამირ ნიადაგზე აღმოცენდა. მის მუსიკას მინიანი ფესვები აქვს და გვიწ-





# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლერი ხარძიანი (პ/ნ 12001025698), თბილისი, ქვემო ფონიჭალა, გულბანის 14.  
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, სოფელი ფონიჭალა (საკადასტრო კოდი: 81.05.09.962).  
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 19766.41 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP46957917;  
აუქციონის ნომერი: 71271  
ლოტის ნომერი: 469579
6. მოვალე: ლერი ხარძიანი (პ/ნ 12001025698), თბილისი, ქვემო ფონიჭალა, გულბანის 14.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. აუქციონის პირობები:
  - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
  - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
  - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
  - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტექნიკის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამომცხადებელი ინტერნეტ მისამართზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) (განაცხადის №71271HZP46957917; ლოტის ნომერი: 469579).

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ბელა ბეგლარაშვილი (პ/ნ 01015010297), თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3;  
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 01.18.04.012.005.03.501);  
თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 01.18.04.012.005.03.500);  
თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 01.18.04.012.005.03.502);  
თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 01.18.04.012.005.01.012);  
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 26975.87 ლარი;
3. უძრავი ნივთის რეალიზაციის ფორმა: უძრავი ნივთის რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
4. აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ოქტომბერი, 12:15 საათი;
5. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
6. მოვალე: ბელა ბეგლარაშვილი (პ/ნ 01015010297), თბილისი, ქუშსიაშვილის ქ. №3.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
8. აუქციონის პირობები:
  - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
  - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
  - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
  - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტექნიკის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 6 ოქტომბრის 12:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# „კანონი გიბაჟი ამტკიცებს, რომ დეპუტატი ინჟინერ სამხარაო სამხარაოს, არკვევენ კანონს!

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ზარდიაშვილი „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქართველოს კვლევას ეხმარება, სადაც საუბარია „ქართული ოცნების“ დეპუტატების სამხარაო საქმიანობაზე, რაც კონსტიტუციის 53-ე მუხლის დარღვევაა.



ზარდიაშვილი გიგაურს არაკომპეტენტურობაში სდებს ბრალს და ამბობს, რომ „კაპიტან გიგაურს პროკურორ გვარამიასთან ერთად სურდათ, წარმოეჩინათ, რომ ყველა ცუდია „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა.

## ფარული ჩანაწერი და სპეციალისტი ფონიჭალაში

შსს ფონიჭალაში ნარკორეალიზატორის დაკავებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს: „შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ნ. ნარკოდანაშაულისთვის სოფელ ფონიჭალაში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 43 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებულის მიერ გაყიდული, 3 შეკვრად დაფასოებული 0,0952 გრამი ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო“.

## შსს-მ პარიზის ინტერპოლის მიერ ქაზნილი პირი დაააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უზნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად პარიზის ინტერპოლის მიერ 2017 წლის აგვისტოდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული ტ. ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე დააკავეს.



ტ. ბ. ბრალი ედება საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 222-22, 222-23, 222-24, 227-22 და 227-23 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, პორნოგრაფიის გავრცელებასა და გაუპატიურებას გულისხმობს. ამჟამად, დაკავებული პირის მიმართ, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები ხორციელდება.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნანა დანელიშვილი (პ/ნ 01025014621), თბილისი, დ. დილომი, დ. თავდადებულის ქ. 12, ბინა 3;  
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, დიდი დილომი, დ. თავდადებულის ქ. 12, ბინა 3 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.006.013.01.003).  
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 138233.39 ლარი;
3. აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ოქტომბერი, 12:00 საათი;
4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. მოვალე: კახაბერ სურმაგა (პ/ნ 01025001369), თბილისი, დ. დილომი, დ. თავდადებულის ქ. №12, ბინა №3.
6. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. აუქციონის პირობები:
  - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
  - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
  - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
  - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტექნიკის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 6 ოქტომბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ვაზა შენებას!

# საფეხბურთოს, სარაგბოს

**დიდ დილომში**, ოლიმპიურ ქალაქ „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე საფეხბურთო და სარაგბო მოედნების მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება. ახალი თბილისის ტერიტორიაზე სულ 7 მოედანი მოეწყობა – 4 საფეხბურთო და 3 სარაგბო.

მშენებლობის პროცესი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა მოადგილე შალვა გოგოლაძესთან, სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესა და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილთან ერთად მოინახულა.



მოედნების მშენებლობა ზუსტად ერთი წლის წინათ დაიწყო, როცა სიმბოლური კაფსულა უეფას ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩეფერინიმ მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან ერთად ჩაუშვა. სტადიონები „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ ფარგლებში შენდება და თბილისსა და ქუთაისში 10 საფეხბურთო და სარაგბო მოედნის მოწყობას ითვალისწინებს.

პროექტის საერთო ღირებულება 10 700 000 ლარია. გარდა ამისა, თელავში, გორსა და ბათუმში წლის ბოლომდე მულტიფუნქციური სპორტის სასახლეები გაიხსნება. სპორტისა და ახალ-

გაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყველა მშენებარე ობიექტზე 1000-მდე ადამიანი დასაქმებული.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი:** „ბოლო წლების განმავლობაში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით გამორჩეული პერიოდი გვაქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი საფეხბურთო და სარაგბო მოედნების მშენებლობის თვალსაზრისით. თუ სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ ფონდ „ქართუს“ მიერ ვართ განებივრებული, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა განადგურებულია და ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა ამ მასშტაბის მშენებლობა მიმდინარეობს.“

სიმბოლურია, რომ კაფსულა უეფას პრეზიდენტთან ერთად ჩავაგდე. მაშინ ეს მისი პირველი ვიზიტი იყო პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. ჩვენ გულშემატკივარს დავპირდით, რომ მშენებლობას წლის ბოლომდე დავასრულებდით. ეს მოედნები სამართავად გადაეცემა ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც უმაღლესი დონის, საერთაშორისო სტანდარტების სტადიონებს საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე გამოიყენებს. მსგავსი პროექტები გაგრძელდება და სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს არაერთ უმაღლესი დონის სპორტულ ბაზას ვაჩუქებთ, რაც ჩვენი შემდგომი გამარჯვებების საწინდარი გახდება.“

**მიხეილ ყაველაშვილი:** „სასიამოვნოა, რომ ისეთი ინფრასტრუქტურა შენდება, რისი მსგავსიც აქამდე არ გვქონია. პირიქით, ბოლო წლებში, წინა ხელისუფლების დროს, ძალიან ბევრი სტადიონი განადგურდა და ეს არის ჩვენი პასუხი ამ ყველაფერზე – მშენებლობა და განვითარება. მსგავსი მასშტაბის მშენებლობა საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მიმართულებით არ გვქონია. აქ ძალიან ბევრი მოზარდი ივარჯიშებს და დაოსტატდება.“

კობა კობახიძე

ღაზრუნება



**თბილისის „დინამო“ ევროტურნირებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კატალონიურ „ჟუვენტუდთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო შესვენებით დაუბრუნდა, რომელიც ჩვენი დედაქალაქის სპორტის სასახლეში გაიმართა.**

ალსანიშნავია, რომ მეტოქეებმა თითოჯერ უკვე მოიგეს ძველი სამყაროს ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ასპარეზობა – „თეთრ-ლურჯებმა“ შორეულ 1962 წელს, ხოლო სტუმრებმა – სულ „ახლახან“, 1997-ში. როგორც აღმოჩნდა, მასპინძლებს ანწყო ჯერჯერობით არ სწყალობთ, თუმცა, ამას თავისი ახსნა მოეძებნება.

დავინწყით იმით, რომ გუნდის თავკაცი ირაკლი ხოშტარია, კაპიტანი ილია ლონდარიძე და სნაიპერი მიხეილ ბერიშვილი შეგირდებსა და პარტიორებს ევრობასკეტის შემდეგ ახლახან შეუერთდნენ, რამაც, ბუნებრივია, შეკრების დაწყების გადაწვევა გამოიწვია. იგივე შეიძლება ითქვას ახალწვეულებზე – სამშობლოში სათამაშოდ 21-წლიანი შესვენების შემდეგ ჩამოსულ ნიკოლოზ ციტიშვილსა და ლეგიონერთა კვარტეტზე, რამდენიმედღიანი ნავარჯიშება კი, დამეთანხმებით, წინასწარ გვაყენებდა განწირულის მდგომარეობაში, მით უმეტეს ბადალონელთა ძალის გათვალისწინებით.

**„დინამო“ – „ჟუვენტუდი“ 60:72.  
17:17, 12:13, 16:17, 15:25**

**„დინამო“:** ციტიშვილი – 23, გაჩემა – 17, ფაცაცია – 5, ლონდარიძე – 4, ბოიდი – 3, ბერიშვილი – 2, გრძელიძე – 2, გოგოძე – 2, ტურპინი – 2 ქულა. ითამაშა აგრეთვე სტორიმი.

სტატისტიკაც მოწმობს, რომ სარბიელზე საუკეთესო ეროვნული ნაკრებიდან რატომღაც მოკვეთილი ნიკოლოზ ციტიშვილი იყო, რომელიც სოხუმის „კოლხასთან“ 1996(!) წელს დამშვიდობების შემდეგ უცხოეთში გაემგზავრა და ხანგრძლივი საერთაშორისო კარიერის განმავლობაში ისეთი ძვირფასი გამოცდილება დააგროვა, ბევრ „ჯვარო-

# უკეთესს არს ველოდით

სანს“ რომ არც დაესიზმრება. მართალია, ბოლო მეოთხედში, თანაგუნდელთა მსგავსად, დალბა მასაც დაეტყო, მაგრამ ევრობასკეტზე ნახევრად ტურისტული შემადგენლობით გამგზავრებულ თანამემამულეებს რომ ღირსეულად დაესმარებოდა, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება უკვე ნახსენებ საზღვარგარეთულ შევსებას, მხოლოდ სერბი ნიკოლა გაჩემას მოწვევა შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულად, აი, ამერიკული ტრიოს შეძენა კი რა კრიტერიუმებით მოხდა, გამოცანად რჩება.

ასეა თუ ისე, მონატრებულ ევროსარბიელს სამი პერიოდის განმავლობაში ვაჟაკური ბრძოლით დაუბრუნდით, დღეს ესპანეთში დაგემილი საპასუხო რაუნდის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში კი ევროჩელენჯზე თამაში მაინც გარანტირებული გვაქვს, რაც ქართველ გულშემატკივარს საინტერესო საშემოდგომო ბატალიებს ჰპირდება.

მატჩის შემდეგ

**ირაკლი ხოშტარია:** „ჟუვენტუდთან“ თამაში ყველას დაანახა, რომ, სათანადო კონდიციისა და შეთამაშების დეფიციტის მიუხედავად, ქართულ კლუბებს ტოპ-ლიგების წარმომადგენლებთან გამკლავება შეეძლებოდა. მაღლობა ქომაგებსაც, რომლებმაც დიდი მუხტი მოგვცეს.“

ვიტალი ჯაფარიძე

სტიმია

# „ასტეკას“ დაზიანდა

მამსიკაში მომხდარმა 7-ბალიანმა მიწისძვრამ, ბოლო ცნობებით, 224 ადამიანი იმსხვერპლა, დაზიანდა მეზიკოს ლეგენდარული სტადიონი „ატტეკაც“ – ზედა იარუსის ერთ-ერთ ტრიბუნაზე დიდი ზზარი გაჩნდა და შესაკეთებელია. ისევე, როგორც ქვეყნის სხვა სტადიონები.



„ატტეკაცზე“, რომელიც 105 000 მაყურებელს იტევს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაიმართა: 1970 წელს ბრაზილია – იტალია (4:1) და 1986 წელს არგენტინა – გერმანია (3:2). სწორედ ამ სტადიონზე ჩატარდა არგენტინა – ინგლისიც (2:1), როცა დიეგო მარადონამ ორი გოლი გაიტანა – ჯერ „ლემერის ხელით“, მერე კი ცენტრიდან დახვეწილი დაუვიწყარი დრიბლინგით.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან



# ისკო და სოლი?!

**მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ისკო ალკორკონი მწვანე მინდორზე რომ მაგარი ბიჭია – ამას ყველანი ცხედავთ, მაგრამ ცოლის მოყვანას ცოცხალი თავით არ აპირებს და ეს თემა მისთვის დახურულია.**

ისკოს 2014 წელს უკვე ეყოლა შვილი მეგობარი გოგონას, ვიქტორია კალდერონისგან და რაკი ცოლად არც ვიქტორია მოუყვანია და შვილი უკვე ჰყავს, ახალგაზრდა ესპანელი მობურთალი ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა მოიყვანოს ცოლი და რატომ უნდა გაირთულოს ცხოვრება.

კაცმა რომ თქვას, ისკო არც ზოგადად მექალთანეობით გამოირჩევა და თავის უცოლობას ვერც საყვარელმრავლობით გაამართლებს. ეს ბიჭი, როგორც ჩანს, ქალებზე უფრო მეტად ფეხბურთზე ფიქრობს და დიდად არ ანაღვლებს ის ამბავი, რომ მასზე ათასგვარ ტყუილ-მართალ ჭორს თხზავს სრულიად ესპანეთის ბულვარული მედია.

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

# მანანა მოსულიშვილი

სხვადასხვა თაობის არაერთმა ქართველმა სპორტსმენმა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გაითქვა სახელი. მათ შორის დაიმკვიდრა ადგილი მანანა მოსულიშვილი, რომელიც 1972-75 წლებში წარმატებით თამაშობდა კალათბურთის დედაქალაქის „ქარიშხალს“ გუნდსა და საქართველოს ნაკრებში.



დაიბადა თბილისში 1953 წლის 1 ივლისს. სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება. უკვე გამოცდილ სპორტსმენსა და ახალგაზრდა სპეციალისტს 1978 წელს საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდება მიენიჭა.

როგორც მსაჯ-მდივანს, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრაში. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, იყო თადარიგის პოლკოვნიკი.

იურიდიულ დარგში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს პოლიციის აკადემიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სამართლის დოქტორმა, პროფესორმა, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეულმა ქალბატონმა წარუშლელი კვალი დატოვა ყველგან, სადაც იშრომა და იღვანა.

მანანა მოსულიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას ახლოს იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა.

„სრ“ სპორტის რედაქცია

გია პლატონიშვილი კლასელთა და უბნელთა სახელით თანაუგრძნობს მწუხარებაში მერხის მეგობარ ემზარ მოსულიშვილს დის

# მანანა მოსულიშვილის

გარდაცვალების გამო.

სანთელი

მძიმეა გამოთხოვა, მაგრამ დავიწყება შეუძლებელია



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ჩვენი თვალსაჩინო თანამემამულის, სრულიად საქართველოსა და მსოფლიო დონის მუსიკალური საზოგადოების კოლორიტის, საოპერო ხელოვნების უბადლო ვირტუოზის, საქართველოს სახალხო და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის, სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატის, მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელის, წლების მანძილზე მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტის, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, ჭეშმარიტი პატრიოტის, მეცენატის, დევნილთა ქომაგის, აფხაზეთის პრობლემების ჭირისუფლის, აფხაზთა და ქართველთა მეგობრობის, მშვიდობის დესპანის ზურაბ სოტკილაშვილის გარდაცვალების გამო.

1993 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ბატონ ზურაბ სოტკილაშვილს ყველაზე დიდი ტკივილი მისი მშობლიური აფხაზეთი იყო. მიუხედავად მიპატიჟებისა მისი სანატრელ სოხუმში, ის ურყევად იდგა თავის პოზიციაზე — „ჩემი სინდისი არ მაძლევს უფლებას, რომ მე ჩავიდე სოხუმში... სანამ იქიდან გამოდევნილი 300 000 ადამიანი არ დაბრუნდება, მე სოხუმში არ ჩავალ — ეს არის ჩემი პროტესტი“

ქვეყნის წინაშე პირნათელი და ვალმოხდელი, ჭეშმარიტი პატრიოტი და სულით ხორცამდე ქართველი შეუერთდა დიდებული წინაპრების რიგებს. ბატონ ზურაბს მისი ანდერძისამებრ ქართული მიწა მიიბარებს.

მსუბუქი იყოს მისთვის სამშობლოს მიწა!  
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამიძიარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ვაჟა აზარაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება თანამედროვეობის უდიდესი მომღერლის, ძვირფასი მეგობრის

ზურაბ სოტკილაშვილი

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე შუქურა თალაკვაძე, შვილი გიგა მაისურაძე, რძალი მაია ჩიკვაშვილი, შვილიშვილები ელისაბედ, ეკატერინე მაისურაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ მაისურაძე

ბანაშვიდი 21, 22 IX, 17 სთ. მისამართი: ქობულეთის ქ. №30. გამოსვენება 23 IX, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის პროსპექტი).



შვილები გიორგი, შალვა, შვილიშვილები დავითი, ლევანი, ნუცა, შვილთაშვილები მერი, გიორგი, ლაზარე, ნისიმე კოლუაშვილები, ნიკა, გიორგი დევდარიანები, შვილთაშვილის შვილი გიორგი კოლუაშვილი, რძლები ზეონა ბერულავა, ეკა ტაბატაძე, ელისო სულაკაური. შვილობილი იზო ნიჟარაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი დემეტრაძე

გამოსვენება 21 IX, 14 სთ. წმინდა ანტონ მარტყოფლის ეკლესიიდან (საბურთალოს ქუჩაზე მდებარე, იპოდრომის გვერდით).

მერი დემეტრაძე

გარდაიცვალა ღვანჭლოსილი, ამგდარი და უკეთილშობილესი ქალბატონი მერი დემეტრაძე. იგი 1950 წლიდან მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი იყო და 30 წლის განმავლობაში მუშაობდა ამავე კლინიკის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. იყო სოციალისტური შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის ექიმი, პერსონალური პენსიონერი, ღირსების ორდენის კავალერი. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის ვეტერანისა და ჯანდაცვის სამინისტროს ფრიადოსნის მედლებით.

მისი სსოვნა მარად დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.  
№4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბან ქ. №3. 293-13-34; 599 797679

გამოსათხოვარი



ოლეგ ქორაქიძე

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს მხატვართა, არქიტექტორთა, თეატრალურ მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, საქართველოს სახალხო მხატვარი 1989 წლიდან ბატონი ოლეგ ქორაქიძე.

იგი 1953-58 წ.წ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ბატონი ოლეგ ქორაქიძე 1958 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში, მონაწილეობდა აქვე პერსონალური გამოფენები

როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

1957 წელს შეიქმნა მხატვართა შემოქმედებითი თანამეგობრობა „სამეული“, რომლის წევრები იყვნენ მეგობრები ა. სლოვინსკი, ო. ქორაქიძე და ი. ჩიკვაძე. ამ ტრედადამ იარსება 1987 წლამდე. დიდა ბატონი ოლეგის ღვაწლი ქართული თეატრისა და კინოს განვითარების საქმეში. იგი „სამეულის“ წევრებთან ერთად მოღვაწეობდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების თეატრებში, შ. რუსთაველის სახ. აკადემიურ თეატრში, 1976-96 წ.წ. იგი იყო კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი. „სამეული“ — იყო რეჟისორი, სცენარისტი და მხატვარი მრავალი ქართული ანიმაციური ფილმისა.

ბატონი ოლეგ „სამეულის“ წევრებთან ერთად გატაცებით მუშაობდა არქიტექტურაში (ავტომოტელი „უშა“, ტურისტული სასტუმრო, ბაკურიანი და სხვა), მონაწილეობდა ხელოვნებაში (გაფორმებული აქვთ ბიჭვინთაში საზღვაო ვაგზალი, საჭადრაკო და ალპინისტური კლუბები ქ. თბილისში და სხვა). მხატვარი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალებსა და გამოცემებში. მას მხატვრულად გაფორმებული აქვს ქართული და უცხოელი ავტორების ნაწარმოებები.

ბატონი ოლეგ ქორაქიძის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებსა და გალერეებში: საქართველოს ეროვნული გალერეის, ხელოვნების მუზეუმის, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის, საპატრიარქოს, მოსკოვის ბახრუშინის მუზეუმის, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში, ნონ-კონფორმიზმის მუზეუმში, ფილადელფიაში (აშშ), ასევე კერძო კოლექციებში (აშშ), ბელგიაში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, შვეიცარიაში, პოლონეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ბ-ნ ოლეგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის და კულტურის სამინისტროს მიერ მონაწილე პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები. 1956 წ. მოსკოვის ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი გამოფენა — ადგილი, 1967 წ. სან-პაულო ბიენალე (ბრაზილია) — ოქროს მედალი, 1973 წ. ნოვი-სადის ტრიენალე — ვერცხლის მედალი (იუგოსლავია), 1973-75 წ.წ. პრალის კვადრინალე — ოქროს მედალი (ჩეხოსლოვაკია).

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, განათლებული, უკეთილშობილესი, ღირსეული პიროვნება, თავდადებული მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

ბატონი ოლეგ ქორაქიძის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების სსოვნაში.  
საქართველოს მხატვართა კავშირი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მეტად გამორჩეული და საინტერესო პიროვნება

ოლეგ ქორაქიძე

ცნობილმა სამეულმა (ალექსანდრე სლოვინსკი, ოლეგ ქორაქიძე და იური ჩიკვაძე) თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა ქართულ თეატრში. რუსთაველის თეატრში მათ გააფორმეს ისეთი მნიშვნელოვანი სპექტაკლები, როგორებიცაა: „ჭინჭრაქა“, „სეილემის პროცესი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ბებერი მეზურნეები“ და სხვა.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ოლეგის გარდაცვალების გამო და სამიძიარს უცხადებს მის ოჯახს.

რუსთაველის თეატრი

რატაში 3 ადამიანი დაიღუპა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სოტევეში მომხდარი შემთხვევის შედეგად, სამი ადამიანი დაიღუპა. ამბროლაურის მიმართულეებით მოძრავი ტრაილერი, რომელსაც ასფალტის სატყეპნი მანქანა გადაჰქონდა, ადგილობრივი მოსახლის ეზოში შევარდა, დაანგრია ავტოფარეხი და სახლის აივანს დაეჯახა. დაღუპულები არიან ტრაილერში მყოფი პირები, ხოლო სახლის მცხოვრებლები შემთხვევის შედეგად არ დაზარებულან.



მომხდარზე დაიწყო გამოძიება.

ზუგდიდში დავნილების სასოკოვრეაბელი ფართის კედელი ჩამოინგრა



22 დეკემბერი ოჯახი საავადმყოფოს ყოფილ შენობაში ცხოვრობს. დევნილების თქმით, რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება და დაახლოებით ათი წელია, გასახლებას ითხოვენ.

# ქუთაისის ოპერის თეატრი 49-ე სეზონს ხსნის

22 სექტემბერს 18 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 49-ე თეატრალურ სეზონს გახსნის – წარმოდგენილი იქნება გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ მოტივებზე შექმნილი ეს ოპერა (ლიბრეტოს ავტორი – რევაზ თაბუკაშვილი) ქუთაისის ოპერის თეატრის სცენაზე 2011 წელს დაიდგა დირიჟორ პაპუნა ღვებერიძის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძის, ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის მიერ. ამჯერად ნაწარმოების შესრულებაში თეატრის მთავარი დირიჟორის რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები – რამაზ კუბლაშვილი (მინდია), ნათია სტეფანაშვილი (მზია), ლაშა თითბერიძე (ჩაღბია), კალისტრატე ხარჩილავა (ხევისბერი), ემილ ჩარგაზია (მაცნე), ბესარიონ ბასილაძე (მთხრობელი), გუნდი (მთავარი ქორეოგრაფი – ნათია გოგუაძე), ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი, ქუთაისის პანტომიმის თეატრის დასი ბაქარ ბაქრაძის ხელმძღვანელობით.




ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ირინეა ლომინაძის** თქმით, 49-ე სეზონში თეატრი აუდიტორიას მრავალ სიურპრიზს უზღავდებს, რომელთაგან პირველი იქნება ვერდის ერთ-ერთი შედევრის „რიგოლეტოს“ პრემიერა, რომელიც დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძისა და მხატვარ თეა კუხიანიძის ხელმძღვანელობით მზადდება და მსმენელთა სამსჯავროზე თეატრის დასი დეკემბერში გამოიტანს. „რიგოლეტოს“ დადგმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

## ღღესასწაული

### უოცა ყოვლადწმინდისა დედულისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარკადის ქალწულისა მარიამისა. დიდუბოცა

21 სექტემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო, ასევე წმინდა მართლმადიდებელი სა მოციქულო ეკლესია საქართველოს დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის შობას.



...ძე ღმრთისამ, იმისთვის, რომ ადამიანის მოდგმა ეხსნა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმინდა მარიამი გამოარჩია.

აღსანიშნავია, რომ ყოვლადწმინდა მარიამი ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმრთის დატევნა და სინდისის წყაროს განხორციელება შეეძლო. ის დაიბადა გალიელის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები იოაკიმე და ანა ღვთის მოშიშნი იყვნენ, უშვილო ცოლქმარს იმედი ჰქონდა, რომ შვილი მიეცემოდათ, ისინი შვილის მიცემას ევედრებოდნენ ღმერთს – ალექსანდრე დადეს, რომ ახალშობილს ტაძარს, უფალს მიუტღვნიდნენ მსახურებისთვის.

უფალმა შეისმინა მათი ვედრება და მოკლე ხანში მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა ანას, რომ ის დედა გახდებოდა, ხლო მისი ნაშობი ქვეყანას ზედა განდიდებოდა. მალევე ღმერთმა უბოძა წმინდა ოჯახს

ასული – იესოს მომავალი დედა! ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობას განსაკუთრებული ზემოთ ხვდებიან დიდუბის, ბეთანიის, გელათის შუამთის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში.

საგულისხმოა, რომ დიდუბობაზე საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ ტრადიციისამებრ საეკლესიო უმაღლესი იერარქიისა და დიდუბის ტაძრის მღვდელმსახურნი საჯანმრთელო პარაკლისს გადაიხდიან.

**გიული ლიპარბია**


## საუკუნის გამოწვევა

### ჩაგვანაცვლებენ თუ არა რობოტები?

დაახლოებით 100 წლის წინ აშშ-ში 26 მილიონი ცხენი არსებობდა. ავტომობილის გამოგონებამ მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვია, რადგან მილიონობით ადამიანს ცხენი უბრალოდ აღარ სჭირდებოდა. ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების განვითარება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი აქტუალურ თემას წარმოადგენს. რამდენად ჩანაცვლებენ ისინი ადამიანებს, რომლებიც კონკრეტულ სამუშაოს ასრულებენ? სიმართლე ისაა, რომ რობოტი ადამიანს გარკვეულ საქმეზე ნამდვილად ჩანაცვლებს, თუმცა ადამიანი ცხენის ბედს ნამდვილად არ გაიზიარებს – კონკრეტულ ინდუსტრიულ ემში ადამიანი მუშაობას კვლავ გააგრძელებს.

ქვემოთ მოცემულია ის სამუშაო პოციზიები, რომლებიც ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

- 1. მოლარეები** – მათი სამუშაო გონებრივ ანალიზს ნამდვილად არ მოითხოვს. აშშ-ის 16 შტატში უკვე გამოიყენება ავტომატიზირებული სისტემა E-ZPass, რომელიც მოლარეს სამუშაო ადგილი მნიშვნელოვნად შეამცირა. პარალელურად, McDonald's-მა და Wendy's-მა რესტორნების გარკვეულ ნაწილში სპეციალური აპარატი დააყენა, სადაც მომხმარებელი მენიუს ეკრანზე უკვე ვეათავს. Amazon-მა კი დეკემბერში ინოვაციური მაღაზიის ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც მოლარე და ფულის გადასახდელი აპარატი არ არსებობს. გადახდის პროცესი მომხმარებლის სმარტფონით ხორციელდება. შესაბამისად, მომხმარებელს შეუძლია აიღოს სასურველი ნივთი და მაღაზი-



„მძლოლი თვითმავალ ავტომობილში“, ვივქვ ვადჰვა, მიიჩნევს, რომ 2020 წლისთვის თვითმავალი ავტომობილების დამსახურებით სამუშაო ადგილს 5 მილიონი ადამიანი დაკარგავს.

**3. სწრაფი კვების ობიექტები** – აშშ-ის შრომისა და სტატისტიკის ბიუროს მიხედვით, 2024 წლისთვის სწრაფი კვების

ობიექტებში 80,000 სამუშაო ადგილი შემცირდება. „უკეთესია, შევიძინოთ 435,000-იანი რობოტი, ვიდრე 415 ვუხადოთ თანამშრომელს, რომელიც კარტოფილი ფრის პაკეტში ჩაწყობას კარგად ვერ ახერხებს“, განაცხადა 2016 წელს McDonald's-ის ყოფილმა

გენერალურმა დირექტორმა ედვარდ რენსისეიდმა. ქვემოთ მოცემულია პროფესიები, რომლებსაც რობოტების განვითარების მიუხედავად, სამუშაოს დაკარგვის საფრთხე არ ემუქრებათ. 1) ექიმები 2) მწვრთნელები 3) სტილისტები და კოსმეტოლოგები 4) კომპოზიტორები 5) სოციალური მუშაკები და ა.შ. CNNMoney

### „ანტიალკოჰოლური“ საკვები

თუთიით მდიდარ საკვებს... ალკოჰოლისადმი ლტოლვის საგრძნობლად შენელება შეუძლია.

ასეთი კი ცხვრის ხორცი, ქათმისა და საქონლის გულ-ღვიძლი, გოგრის თესლი, კვდარის კაკალი, ლობიო, ბარდა, შვრია, ქაშაყი, კვერცხი, სოკო და მრავალი სხვაა.



საქმე ის არის, რომ თუთია ყველა ამ კვების პროდუქტში შემავალი ფერმენტის მდგენელია, რომელიც სპირტის დაშლაზე პასუხისმგებელი და რომელიც თრობას აბრკოლებს.

**საქ**

**რედაქციის მისამართი:**  
 აშშ ფონური - 2.4738; კვირა - 2.9661;  
 ბრიტანული მიკროსაბჭოების - 3.3396;  
 100 რუბლი - 4.2619; თურქული ლირა - 0.7098;  
 ავსტრალიული დოლარი - 1.4550;  
 1000 სომხური დრამი - 5.1725.

**აივნი 21 სექტემბრისთვის**

აქციონერი	საპროცენტო:		
ბაზი -	აპრ	+14	ფვ
პროცენტო	აპრ	+8,	ფვ
დასავლეთი	საპროცენტო:		
ბაზი -	აპრ	+16,	ფვ
პროცენტო	აპრ	+8,	ფვ
თბილისი:	აპრ	+16,	ფვ

**დავითიძე, მოგონი:**  
 ტელ: 293-13-34,  
 599-79-76-79  
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
 და sakresp@top.ge

**საქართველოს რესპუბლიკა**  
 SAKARTVELOS REPUBLIKA  
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 293-13-34  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიანი**  
 599 53-76-16;  
**ალექო ასლანი**  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

**გამომცემელი:**  
 შპს „თანამშრომელთა“  
 „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 შპს „ახალი საუკუნე“  
 იბეჭდება გამომცემლობა  
 „კოლორ პრესი“  
 რკინიგზის ჩიხი №20

uae(უაე)070.4(479.22)  
 ს-323  
 ISSN 2233-3851  
 9 772 233 385 001

**ავტორთა საყურადღებოდ!**  
 რედაქციის მიერ შეუძვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.  
 ავტორთა მოსახრება-ში, შესაძლოა, გუდაამ არ ეთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაძებვის სიზუსტეა პასუს აგეაან ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“**  
 უნი ბაჟითა,  
 აუსილუბლად  
 წაიკითხა!